მომსახურების (ნარდობის) ხელშეკრულება

ქ. თბილისი 01 მაისი 2025წ.

ერთის მხრივ **შპს ტრაქტორ ტექნოლოჯი (ს/კ 404523967)** შემდგომში წოდებული მისი დირექტორის ლევან იოსებაშვილის სახით (შემდგომში „მენარდე“) და მეორეს მხრივ **„ მერაბ გვანცელაძე“ პ.ნ. 60101161624**, სახით, შემდგომში წოდებული როგორც „დამკვეთი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი და მომსახურების პირობები**
   - „მენარდე“ ვალდებულია გაუწიოს ,,დამკვეთს“ მომსახურება - (**აგრო მრჩეველი),** დისტანციურად ტელეფონით და ელექტრონული მოწყობილობით კონსულტაციის გაწევა.
   - ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული დისტანციური კონსულტაცია აგრო მრჩეველი მოიცავს, აგროპორტალ kalo.ge-ის მეშვეობით, ონლაინ კონსულტაციას აგრონომთან, რომლის მეშვეობით შეგიძლია:
2. -
     - დაუსვა აგრონომს კითხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე;
     - გადაუღო ან/და ატვირთო მცენარის სურათი და ვიდეო;
     - შეარჩიო შესაფერისი პრეპარატები მცენარის მოვლისათვის;
     - მიიღო რეკომენდაციები მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ღონისძიებებზე.
   - ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების პაკეტში შედის:
     - აგრონომთან სატელეფონო კონსულტაცია ან/და სოციალური პლატფორმებით კომუნიკაცია. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს დაუკავშირდეს აგრონომს და გაიაროს კონსულტაცია;
     - ge-ზე საკონსულტაციო შეკითხვების გამოგზავნა - შეუზღუდავი რაოდენობით;
     - ზარის განხორციელება აგრონომთან, კალოს გუნდთან - შეუზღუდავი რაოდენობით.

2. **ხელშეკრულებისვადა**
   - მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.
   - მომსახურების გაწევის რაოდენობა არ არის შეზღუდული.

- ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამუშაო საათებში ორშაბათი-პარასკევი 10:00-დან 18:00 საათამდე.(ოფიციალური დასვენების დღეების გარდა)

3. **ანგარიშსწორებისპირობები**
   - ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ღირებულება არის 50 (ორმოცდაათი) ლარი.
   - ანგარიშსწორება განხორციელდება ნაწილ- ნაწილ უნაღდო ანგარიშწორების წესით სს ,,კრედო ბანკის“ მიერ დამტკიცებული განსაზღვრული გრაფიკით დროის განსაზღვრულ პერიოდში (განვადებით).
   - ხელშეკრულების2 პუნქტით გათვალისწინებული განვადების გრაფიკზე ხელშეკრულოების გაფორმება ხდება სს ,,კრედო ბანკთან“ და ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართი 1 -ის სახით.

4. **მხარეთა უფლებამოვალეობები**
   - **„მენარდე“ ვალდებულია:**
     - შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით.
     - შეასრულოს სამუშაო ამ ხელშეკრულების1 მუხლში მითითებულ ვადაში.
   - **„დამკვეთი“ ვალდებულია:**
     - გადაიხადოს საზღაური ამ ხელშეკრულების 3–ე მუხლში მითითებული ოდენობითა და პირობებით.
     - შეუქმნას მენარდეს პირობები სამუშაოს შესასრულებლად.

5. **მხარეთაპასუხისმგებლობა**
   - მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაკეთილსინდისიერად შესრულებაზე.
6. **დასკვნითი დებულებები**.
   - „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან (ხელმოწერის დღედ მიიჩნევა „ხელშეკრულების“ პირველ გვერდზე ზედა მარჯვენა კუთხეში მითითებული თარიღი).
   - „ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ძალაშია მხოლოდ მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
   - მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით მოშალონ „ხელშეკრულება“ „ხელშეკრულების“ ვადის გასვლამდეც.
   - „მენარდეს“ უფლება აქვს ცალმხრივად, ვადაზე ადრე მოშალოს „ხელშეკრულება“:თუ ,,დამკვეთი“ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურების საფასურს არ იხდის

- „ხელშეკრულების“ მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.
- მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეთა შორის დავას კანონმდებლობით დადგენილი წესით წყვეტს საქართველოს სასამართლო.
- „დამკვეთი“ ვალდებულია, შეატყობინოს „მენარდეს“ მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

7. **მხარეთა რეკვიზიტები**

,,დამკვეთი“ **,,მენარდე“**